N 249 02/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, ოთარ პატიეშვილის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. კერძოდ: 1.სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია. 2). ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისია. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილე. სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში 19-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 13-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს 6 სხდომას. როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან), რა დროსაც, მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. ჩემს მიერ როგორც საკრებულოში ასევე მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი იქნა სოფლის პრობლემები რომელთა ნაწილი გადაწყდა დადებითად და ნაწილი პროექტებისა გათვალისწინებული არის მიმდინარე წლისთვის. წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში შესრულებულ სამუშაოების ჩამონათვალს:

მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- ✓ სოფ.ზემო მამთში ფრანგულაიშვილების უბანში მოეწყო რკინა-ბეტონის გზა;
- ✓ სოფ.ზემო მამთში ივტიხი ლიპარტელიანის ეზოსთან მოეწყო რკინა-ბეტონის გზა;
- ✓ მამთის ადმინისტრაციულ ერთეულში აღდგა დაზიანებული გზები;
- ✓ კონჭკათში, ხაშიას უბანში აღდგა საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდი;
- ✓ ანზორ კილაძის ეზოსთან მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;
- ✓ რევაზ ჩხარტიშვილის ეზოსთან მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;
- ✓ შათირის უბანში აღდგა დაზიანებული გზა და სანიაღვრე არხები;
- ✓ კონჭკათის უბანში აღდგა მისასვლელი გზა;
- ✓ თემურ ხელაძის ეზოსთან აღდგა დაზიანებული გზის სანიაღვრე არხები;
- ✓ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო შიდა გზები;

საანგარიშო პერიოდში მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით. კერძოდ:

- ✓ 2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 1 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 10 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 2 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტების შეძენის პროგრამით ისარგებლა 24 ბენეფიციარმა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით 1 ბენეფიციარმა.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ მუშაობას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი სოფლისთვის. და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

ოთარ პატიეშვილი

თავმჯდომარის მოადგილე
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"